ხელშეკრულება №3/20
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

ერთი მხრივ **შპს „ჯიარ ტრანზიტ ლაინი“** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი **დირექტორის სოლიკო ფრიდონაშვილის** სახით და მეორე მხრივ **სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“** (შემდგომში„მიმწოდებელი“), წარმოდგენილი **მისი პრეზიდენტის დავით გიორგობიანის სახით,** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3-ე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის და ,,ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს დაკვეთას.

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება.

1.7 „ინსპექტირება“ - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია ავტომანქანის (1 ცალი ავტომობილის TUCSON, სახ. **№SV011VS**) ტექნიკური მომსახურების შესყიდვა (CPV-50100000).

2.2 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შემსყიდველი ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე წარუდგენს მიმწოდებელს სატრანსპორტო საშუალებას, ხოლო მიმწოდებელი ახდენს სატრანსპორტო საშუალების შეკეთებას ან/და ნაწილების მიწოდებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე, შეთანხმებულ ვადაში, შეთანხმებული მოცულობითა და რაოდენობით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოების და/ან მისაწოდებელი ნაწილების საერთო ღირებულება განისაზღვრება 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარით (შემრულებლის მიერ დადგენილი საერთო ფასების შესაბამისად), საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

3.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ფასის გადახდა ხდება, მიმწოდებელსა და შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების და/ან მიწოდებული ნაწილების შესახებ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და/ან მიმწოდებლის მიერ გამოწერილი შესაბამისი საფინანსო დოკუმენტაციის საფუძველზე სრულად, უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

3.3 შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახდენს მხარეთა შორის ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების და მიწოდებული ნაწილების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და/ან მიმწოდებლის მიერ საფინანსო დოკუმენტაციის გამოწერიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.
3.4 ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების და/ან მისაწოდებელი ნაწილების საბაზრო ფასის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს დანართი 1 -ით პრეისკურანტით გათვალისწინებული ღირებულებისა.

4. მხარეთა უფლება - ვალდებულებები

4.1.მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ მოთხოვნიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, ან შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში გონივრულ ვადაში გაუწიოს მომსახურება.
ბ) მიმწოდებელი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსყიდველს უხარისხოდ შესრულებული მომსახურებაებით გამოწვეული შეფერხებით მიყენებული ზიანი.
გ) მიმწოდებელი ვალდებულია გააფრთხილოს შემსყიდველი, როდესაც მისთვის ხელმისაწვდომი გამოსაცვლელი დეტალი უხარისხო და გამოუსადეგარია, ან არსებობს მისგან დამოუკიდებელი სხვა გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის ნამუშევრის სიმტკიცეს ან ვარგისიანობას. თუ ასეთ შემთხვევაში შემსყიდველმა მაინც მოითხოვა ავტოტექნიკური მომსახურების შესრულება მიმწოდებელი პასუხს არ აგებს ნამუშევრის ვარგისიანობასა და ხარისხზე.
დ) ყოველი მომსახურების შესყიდვის დროს მომსახურებასა და საქონელზე წარმოადგინოს გარანტია, რომელიც ასახული უნდა იყოს ინვოისში/მიღება-ჩაბარებაში.
ე) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) შემსყიდველს უფლება აქვს მოთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება.
ბ) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ინსპექტირება

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი-ალბერტ ევაჩიანი და ლევან ჭავჭანიძე;
5.2 მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების განხორციელების დროს.
5.3 ინსპექტირება განახორციელდება შემსყიდველის წარმომადგენელი უფლებამოსილი პირის/პირების მიერ.
5.4 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია "შემსყიდველის" მხრიდან მოთხოვნილი უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდების დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით "შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტთან ერთად წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.
6.3 "შემსყიდველის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სოლიკო ფრიდონაშვილს

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო - კომპანიის სახრებით.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 3.3 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,5%-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2020 წლის 3 იანვრიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით, ხოლო მომსახურება მოქმედებს 2020 წლის 3 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, მიმწოდებელს და შემსყიდველს გადაეცემა თითო–თითო ეგზემპლარი.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

შპს ჯიარ ტრანზიტ ლაინი
მისამართი: ქ. თბილისი ბაზალეთის ქ. 7
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკი სს ,, საქართველოს ბანკი''
კოდი BAGAGE22
ა/ა GE90BG0000000327280100
ს/კ 404437702

დირექტორი
სოლიკო ფრიდონაშვილი

LTD GR TRANSIT LINE
Digitally signed by LTD GR TRANSIT LINE
Date: 2019.12.06 16:09:03 +04'00'

მიმწოდებელი

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"
ს/კ: 204478948
მის: თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ
საბანკო რეკვიზიტები:
სს GE15TB1100000110467697თი ბი სი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE15TB1100000110467697

პრეზიდენტი
დავით გიორგობიანი

HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Date: 2019.12.06 15:53:26 +04'00'

დანართი N1
ხელშეკრულება 3/20

ავტომანქანის მოდელი		ზომის ერთეული	ჰინუდაი Tucson new 2.0 ავტომატური გადაცემათა კოლოფი	
№	ნაწილის დასახელება/მომსახურება		ნაწილის ერთეულის ფასი ლარი	ერთეულზე მომსხურების ფასი ლარი
1	სამუხრუჭე ხუნდი წინა	კომპლექტი	285	15
2	სამუხრუჭე ხუნდი უკანა	კომპლექტი	200	15
3	ხელის მუხრუჭის გვარლი	ცალი	165	50
4	სამუხრუჭე დისკი წინა	ცალი	355	25
5	სამუხრუჭე დისკი უკანა	ცალი	370	50
6	სამუხრუჭე ავზი უკანა	ცალი	435	65
7	ძრავის ზეთის ფილტრი	ცალი	20	5
8	ძრავის ზეთი სინთეტიკური	1ლიტრი	25	10
9	ამორტიზატორი წინა	ცალი	340	40
10	ამორტიზატორი უკანა	ცალი	300	40
11	წინა ამორტიზატორის საყრდენი ბალიში	ცალი	130	40
12	უკანა ამორტიზატორის საყრდენი ბალიში	ცალი	105	40
13	ამორტიზატორის მტვერდამცავი	ცალი	20	40
14	დაკიდების ბერკეტი წინა ქვედა	ცალი	525	40
15	წინა სტაბილიზატორის მილისა	ცალი	12	20
16	წინა სტაბილიზატორის კრონშტეინი	ცალი	8	3
17	უკანა ძელის მილისა	ცალი	50	40
18	რეაქტიული ბერკეტი	ცალი	525	40
19	რეაქტიული ბერკეტის მილისა	ცალი	50	40
20	საჭის წევა	ცალი	85	20
21	საჭის წევის მტვერდამცავი	ცალი	18	20
22	საჭის წევის დაბოლოება	ცალი	90	20
23	მორგვის საკისარი წინა	ცალი	630	50
24	მორგვის საკისარი უკანა	ცალი	490	50
25	ყუმბარა გარეთა	ცალი	740	50
26	ყუმბარა შიდა	ცალი	515	50
27	ყუმბარა კომპლექტში	ცალი	1345	50
28	გარეთა ყუმბარის მტვერდამცავი	ცალი	130	50
29	შიდა ყუმბარის მტვერდამცავი	ცალი	105	50
30	ძრავის საყრდენი ბალიში	ცალი	330	50
31	გადაცემათა კოლოფის საყრდენი ბალიში	ცალი	298	50
32	გადაბმულობის ქურო/დისკი	არ დგას		
33	გადაბმულობის ქურო/დისკი	არ დგას		
34	გადაბმულობის დამწოლი საკისარი	არ დგას		
35	გადაბმულობის ქვედა ავზი	არ დგას		
36	ძრავის ჯაჭვი	ცალი	195	280
37	ძრავის ჯაჭვის დამჭიმი	ცალი	175	280
38	ძრავის ჯაჭვის მიმმართველი	ცალი	55	280
39	ძრავის მასრის საფენი	ცალი	180	350
40	ძრავის მასრის სახურავის საფენი	ცალი	95	100

41	ძრავის ჩობალი წინა	ცალი	35	300
42	ძრავის ჩობალი უკანა	ცალი	40	350
43	ძრავის სარქვლის ჩობალი	ცალი	5	125
44	ძრავის სარქველის შემშვები	ცალი	42	150
45	ძრავის სარქველი გამშვები	ცალი	45	150
46	გენერატორის ღვედის დამჭიმი გორგოლაჭი (შკივი)	ცალი	175	70
47	გენერატორის ღვედის ამყოლი გორგოლაჭი	ცალი	65	70
48	გენერატორის ღვედი	ცალი	175	70
49	კონდენციონერის ღვედი	ცალი	175	70
50	ანთების სანთელი	ცალი	42	5
51	ანთების კოჭა	ცალი	150	25
52	წყლის ტუმბო	ცალი		
53	თერმოსტატი	ცალი	45	30
54	წყლის რადიატორი	ცალი	895	170
55	გადაცემათა კოლოფის ზეთი	1 ლიტრი	25	40
56	ჰაერის ფილტრი	ცალი	40	0
57	სალონის ფილტრი	ცალი	80	10
58	ანტიფრიზი (კონცენტრატი)	1ლიტრი	17	25
59	სამუხრუჭე სითხე	1ლიტრი	80	25
60	მინის მწმენდის ყინვაგამძლე სითხე (კონცენტრატი)	1ლიტრი	13	30
61	ფრეონი	100 გრამი	13	30
62	წინა მაშუქის ნათურა (ჰალოგენი)	ცალი	35	15
63	უკანა მაშუქის ნათურა	ცალი	17	10
64	მაჩვენებლის დაფის ნათურა		10	5
65	ამძრავი	ცალი	835	100
66	გენერატორი	ცალი	1370	100
67	ხმოვანი საყვირი	ცალი	35	15
68	მინის მწმენდი წინა	კომპლექტი	120	10
69	მინის მწმენდი უკანა	ცალი	35	5
70	წინა საქარე მინა	ცალი	1340	140
71	წინა ბამპერი	ცალი	575	120
72	უკანა ბამპერი	ცალი	565	120
73	სალონის საფენი ხალიჩა		175	0
74	სამუხრუჭე დისკი წინა (მოხეხვა)	წინა 2		70
75	სამუხრუჭე დისკი უკანა (მოხეხვა)	უკანა 2		80
76	სამუხრუჭე სისტემის დაჰაერება			30
77	სამღებრო სამუშაოები	1 ნაჭერი		170
78	ელექტრო სისტემების კომპიუტერული დიაგნოსტიკა			40
79	თვლების განშლისა და შეყრის კუთხის გასწორება			140
80	საბურავის დაშლა აწყობა ბალანსირება	ცალი		15
81	დისკის გასწორება			25
82	სავალი ნაწილის დათვალიერება			20

83	მინების დამუქება			375
84	ციმციმა და ხმოვანი სიგნალის მონტაჟი			190
85	სალონის ქიმწმენდა			370
86	კოლოფის ჩობალი (სალნიკი)	ცალი	75	250
87	კომპრესორის მილი	ცალი	480	170
88	საქარე მინის საწმენდი მექანიზმი	ცალი	280	55
89	რულის შლეიფი	ცალი	225	35
90	ძრავის დამცავი		295	20
91	საბურავის სამაგრი გაიკა		7	0
92	ჭანჭიკი		7	50

დამკვეთი

შპს ჯიარ ტრანზიტ ლაინი

მისამართი: ქ. თბილისი ბაზალეთის ქ. 7

საბანკო რეკვიზიტები:

ბანკი სს ,, საქართველოს ბანკი''

კოდი BAGAGE22

ა/აGE90BG0000000327280100

ს/კ 404437702

შემსრულებელი

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"
ს/კ: 204478948
მის: თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ
საბანკო რეკვიზიტები:
სს GE15TB1100000110467697თი ბი სი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE15TB1100000110467697

დირექტორი

სოლიკო ფრიდონაშვილი

LTD GR TRANSIT LINE
Digitally signed by LTD GR TRANSIT LINE
Date: 2019.12.06 16:09:41 +04'00'

პრეზიდენტი
დავით გიორგობიანი

HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Date: 2019.12.06 15:53:54 +04'00'